

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

შპს „მარნეული ტვ“ ს 2021 წლის ანგარიში

სამაუწყებლო კამპანია შპს „მარნეული ტვ“ თავის საქმიანობას აწარმოებს, როგორც ავტორიზებული პირი. ავტორიზაციის ნომერია BR-1018 ავტორიზაციის თარიღი 24/01/2013წელი. მაუწყებლის ავტორიზაციის მონაცემებია B.1 ტელემაუწყებლობა.სამაუწყებლო კამპანია შპს „მარნეული ტვ“ თავის საქმიანობას ახორციელებს ავტორიზაციით მიღებული მოთხოვნათა სრული შესაბამისობით. ჩვენ ვმაუწყებლობთ როგორც შპს „ომეგას“ ადგილობრივი ციფრული ღია მუქსით. ასევე 2018 წლის აპრილიდან „აზერკოსმოსთან“ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენი ტელემაუწყებლობა ვრცელდება ღია, თანამგზავრ „აზერსპეისის 1“ ის მეშვეობით. ასევე 2014 წლის აპრილიდან ჩართული ვართ ტელეოპერატორებს: „გლობალ TV“ ში, მათის, სჯისი „კატივი“ს და სხვა საკაბელო ქსელებში.ვმაუწყებლობთ ასევე პორტალ myivideo.ge ს მეშვეობით. საანგარიში პერიოდში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას კანონით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია, წარედგინა დროულად მოთხოვნის შესაბამისი ფორმით. შესაბამისობის დეკლარაცია გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე [www.marneulitv.ge](http://www.marneulitv.ge) გვაქვს ოფიციალური ფეისბუქ და იუთუბის გვერდები. ჩვენი ტელეკომპანია დღელამეში მინიმუმ 17 სთ -ს მაუწყებლობს. ჩვენს პროგრამულ ბადეშია : ყოველდღიური ახალი ამბები ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე (პირდაპირი ეთერი) საღამოს 19 სთ. შაბათ კვირის გარდა და ახალი ამბების გამოშვებები ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე ასევე დაიჯესტის სახით, საათში ორჯერ. ჩვენი კონტენტის შეისცავს ასევე საზოგადოებრივ პოლიტიკურ თოქშოუებს.: „ჩვენი საქმე“, „ეს ქვეყანა შენია“, „ნატო და ევროკავშირი“ შემოქმედებით მინი პროგრამას „ო მუზავ ჩემო“. 2021წლის განმავლობაში შევქმენით ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, ერთი სრული ისტორიულ დოკუმენტური ფილმი ქ. მარნეულზე.. ვახორციელებთ ასევე პირდაპირ ტელე-ჩართვებს სხვადასხვა საინტერესო მოვლენათა ეპიცენტრებიდან. ასევე ვახორციელებთ მრავალფეროვან საგრანტო ტელე პროექტებს. შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე ვიღებთ სხვადასხვა მედია ორგანიზაციებიდან და ტელეკომპანიებიდან მზა ტელეპროდუქტებს ეთერში განსათავსებლად. ტელეპროგრამების სრული ბადე ყოველკვირეულად იტვირთება საქართველოს კომუნიკაციების კომისიის შესაბამის საიტზე. საინფორმაციო პროგრამების მომზადებისას მაქსიმალურად ვცდილობთ მაყურებელს მივაწოდოთ მრავალფეროვანი და დაბალანსებული ინფორმაცია. მკაცრად ვიცავთ ავტორიზაციისა და კანონის მოთხოვნებს. თვითრეგულირების მიმართულებით ტელეკომპანიაში მუშაობს დავებისა და განხილვების ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც ცვლილებები არ მომხდარა.გაერთიანებული სააპელაციო საბჭოს დელეგირებული უფლება საერთო კრების საფუძველზე გადაცემული აქვს „მედია კანცელ ჯი,, ს, ეს უკანასკნელი შესაბამისი დებულების საფუძველზე გამჭვირვალეობასაც უზრუნველყოფს. 2021 წლის განმავლობაში საჩივრებს არ შემოსულა.

პატივისცემით: შპს „მარნეული ტვ“ ს დირექტორი:

შალვა შუბლაძე